

## ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2020 წლის იანვარში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა.

## სხვა საკანონმდებლო ცვლილებები

მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს იანვრის თვეში ადგილი არ ჰქონია.

## ცვლილებები კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში

### საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება

2020 წლის 14 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო #25 დადგენილება თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ. მითითებული დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის #11 დადგენილება და ახლებურად განისაზღვრა თავისუფალი ზონის შექმნის, მოწყობის, მისი შექმნის პირობების და ფუნქციონირების, თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის გაანგარიშების, გარანტიის სახეების განსაზღვრისა და წარდგენის წესი, თავისუფალ ზონაში შესატანი ან ზონიდან გასატანი საქონლის მიმართ თავისუფალი ზონის

პერიმეტრზე არსებულ შესასვლელებსა და გამოსასვლელებში განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში გადაადგილებული საქონლის, აგრეთვე თავისუფალ ზონაში საქონლის შენახვის წესები, თავისუფალ ზონაში მოთავსებული საქონლის აღრიცხვისათვის ვალდებული პირების – საქონლის მომთავსებლის (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო) მოვალეობები და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

### ცვლილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში

„სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 იანვრის დადგენილებით იმპორტის გზით სამშენებლო პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის იმპორტიორი ვალდებულია, სსიპ – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით შემოსავლების სამსახურსა და სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება, რომლის ფორმა, შევსებისა და დადასტურების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

### საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის #487 ბრძანება

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის #487 ბრძანებით

დამტკიცდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ ახალი ინსტრუქცია, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის #4 ბრძანება „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ინსტრუქციის რეგულირების სფერო, გარდა საჯარო რეესტრის წარმოების წესებისა და პირობებისა და მასში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებისა გავრცელდა ასევე სისტემურ და სპორადულ რეგისტრაციაზე, აგრეთვე სარეგისტრაციო წარმოებისას სანოტარო მედიაციაზე.

იუსტიციის მინისტრის ახალი ინსტრუქცია 2010 წლის 15 იანვრის #4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მსგავს არაერთ დებულებას შეიცავს, თუმცა აგრეთვე გვხვდება ისეთი საკითხებიც, რომლებიც მანამდე არ იყო ნორმატიული აქტით მოწესრიგებული, მათ

შორის იცვლება აგრეთვე უძრავ ნივთებსა და მოძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან, ასევე ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან ამონაწერების ფორმები.

ინსტრუქციის მოქმედების ძალა განისაზღვრა 2020 წლის 1 იანვრიდან.

#### Contact information

bakertilly  
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.  
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge  
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.